

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“
ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12, 1984 წელი, მუხ.421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კოდექსის 149-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 149 სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობა

1. სასმელი წყლის უკანონო მოხმარება, აგრეთვე წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობა, -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - 1 500 ლარის ოდენობით.

2. 239-ე მუხლის მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ კოდექსის 51³, 53³, 55-ე, 55², 55³ მუხლებით, 60¹ მუხლის პირველი ნაწილით, ასევე 119¹, 145-ე, 146¹, 148-ე, 150-ე, 150¹, 151-ე, 152-ე, 153⁴, 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-60 ნაწილი:

„60. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი